დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 19 მარტის №71 ბრძანებით; ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 11 მაისის №135, 2020 წლის 14 სექტემბრის №246, 2022 წლს 31 მაისის № 117796, 2022 წლის 16 სექტემბრის №128991, 2023 წლის 3 ივლისის № 20728,

2024 წლის 30 იანვრის №3767, 2024 წლის 19 მარტის № 10421,

2024 წლის 3 სექტემბრის № 34881,

2024 წლის 27 სექტემბრის № 40295,

2024 წლის 1 ოქტომბრის №41417,

2025 წლის 25 სექტემბრის № 76075 ბრძანებებით

შპს ევროპის უნივერსიტეტში

სტიპენდიის დანიშვნისა და ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით სარგებლობის წესი

2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) სტიპენდიის დანიშვნისა და სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკით სარგებლობის წესსა და პროცედურას, ასევე სტიპენდიით სარგებლობის უფლების დაკარგვასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს.

2. უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და ახორციელებს მხარდამჭერ ღონისძიებებს.

3. წინამდებარე წესის მოქმედება ვრცელდება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებზე.

მუხლი 2. გამოყენებული ტერმინები

1. უნივერსიტეტის სტუდენტი - პირი, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო ან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2. სახელმწიფო სასწავლო გრანტი - სახელმწიფოს მიერ სტუდენტისათვის გადაცემული თანხა, რომელიც ჩარიცხულია საბაკალავრო, სამაგისტრო ან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მუხლი 3. სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკით სარგებლობის წესი

1.უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის, საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე, განისაზღვრება სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი.

2.ხელშეკრულებაში მითითებული გრაფიკის მიუხედავად, სტუდენტი უფლებამოსილია სემესტრის დაწყებამდე განცხადებით (იხ. დანართი №1) მიმართოს უნივერსიტეტს სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ.

3.უნივერსიტეტის რექტორი განიხილავს სტუდენტის განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილება სტუდენტს ეცნობება განცხადების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.

5.სტუდენტის მიერ, სწავლის საფასურის ინდივიდუალური გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუჩეროს სტატუსი.

მუხლი 4. სტიპენდიის დანიშვნის წესი

1. უნივერსიტეტში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტზე გაიცემა სტიპენდია შემდეგი ოდენობებით და პირობებით:

ა) მედიცინის ფაკულტეტის ფარგლებში დაფინანსდება საუკეთესო შედეგების მქონე 30 სტუდენტი და დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, შემდეგი სახით: დიპლომირებული მედიკოსის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი პროგრამის ფარგლებში - 25 სტუდენტი, დიპლომირებული მედიკოსის (ქართულენოვანი) ერთსაფეხურიანი პროგრამის ფარგლებში - 3 სტუდენტი, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში - 2 სტუდენტი. სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში 4 სტუდენტი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ფარგლებში 4 სტუდენტი, სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტის ფარგლებში 5 სტუდენტი, ხოლო სტომატოლოგიის ფაკულტეტის ფარგლებში 10 სტუდენტი და დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად შემდეგი სახით: სტომატოლოგიის (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - 8 სტუდენტი, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში - 2 სტუდენტი.

ბ) სტიპენდია სტუდენტს განესაზღვრება წინა სემესტრის აკადემიური შედეგების საფუძველზე. შეფასების შედეგები დაითვლება სტუდენტის მიერ არანაკლებ 25 კრედიტის ოდენობით სასწავლო კურსებზე აკადემიური რეგისტრაციის საფუძველზე, სემესტრის განმავლობაში თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასებების კრედიტებთან შეწონილი საშუალო ქულის გამოთვლით. ასევე, სტუდენტს ყველა სასწავლო კურსში მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ A (91-100 ქულა) შეფასება (A შეფასება ყველა სასწავლო კურსში სტუდენტს უნდა ჰქონდეს მიღებული დასკვნით გამოცდაზე, დამატებით გამოცდებზე გასვლის გარეშე).

გ) სტიპენდიის განსაზღვრა ხდება სემესტრის განმავლობაში მიღებული შედეგების საფუძველზე. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტს, სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.

დ) იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კვოტის გადაჭარბების შემთხვევაში რამდენიმე კანდიდატს ექნება თანაბარი ქულა, რექტორის ბრძანებით მოხდება თანაბარქულიანი სტუდენტების შესარჩევად დამატებითი კრიტერიუმების განსაზღვრა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სტიპენდია ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე განისაზღვრება 250 (თანხა არ მოიცავს საშემოსავლო გადასახადს) ლარის ოდენობით, ხოლო ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე 300 ლარის ოდენობით (თანხა არ მოიცავს საშემოსავლო გადასახადს), რომელიც გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით ერთი სასწავლო

სემესტრის განმავლობაში (5 თვის ვადით). სტუდენტი კარგავს სტიპენდიით სარგებლობის უფლებას სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში.

3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტებისთვის დააწესოს დამატებითი სტიპენდია (რომელიც არ არის დამოკიდებული მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე და შესაძლოა ითვალისწინებდეს სტუდენტთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობას), რომლის დანიშვნის წესი და პირობები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. სტიპენდიით სარგებლობის უფლების გაუქმების საფუძვლები

ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კოდექსის ან /და სხვა სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს/შეუწყდეს სტიპენდიით სარგებლობის უფლება.

(ცვლილება განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 14 სექტემბრის №246 ბრძანებით).

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

2. წინამდებარე წესში ცვლილებების, დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №1

შპს ევროპის უნივერსიტეტის რექტორს

ქალბატონ/ბატონ _____

ამავე უნივერსიტეტის სტუდენტის _____

პირადი №_____

ტელ: _____

განცხადება

გთხოვთ, დამრთოთ ნება ვისარგებლო _____ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკით:

მიმდინარე სემესტრში გადასახდელი თანხის ოდენობა _____ ლარი		
გადახდის გრაფიკი	თვე, რიცხვი	თანხის ოდენობა გადახდის პერიოდის მიხედვით

ვადასტურებ, რომ გაფრთხილებული ვარ ჩემს მიერ სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.

ხელმოწერა _____

თარიღი _____